

ტესტი ევროპის პოლიტიკური მმართველობის სისტემებში

1. I მსოფლიო ომის წინ რომელი სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენდა ირედენტის პოლიტიკა?

- ა) ირლანდიის, გ) ისლანდიის,
გ) რუსეთის, დ) იტალიის.

2. ჩამოთვლილთაგან რომელი სახელმწიფო არ ჩამოყალიბებულა I მსოფლიო ომის შემდეგ?

- ა) იტალია, გ) პოლონეთი,
ბ) ჩეხოსლოვაკია, ვ) ლიტვა

3. შემდგომში წმინდანად შერაცხული რომელი ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა XX საუკუნის 30-იან წლებში პოლონეთში?

- ა) ექვთიმე თაყაიშვილი, გ) გრიგოლ ფერაძე,
ბ) მიხეილ თამარაშვილი, დ) ბერი ეგნატაშვილი

4. ჩამოთვლილ პოლიტიკოსთაგან რომელი არ მონაწილეობდა 1945 წლის „დიდი სამეულის“ იალტის კონფერენციაზე?

- ა) ჩერჩილი, გ) სტალინი,
ბ) რუზველტი, დ) ჰიტლერი

5. 1961 წელს ბერლინის კედლის აგების ინიციატორი იყო:

- ა) რ. კენედი, გ) ნ. ხრუშჩოვი,
ბ) ჯ. მარშალი, დ) უ. ჩერჩილი

6. 1968 წელს ქ. პრადას ოკუპაცია მოახდინეს:

- ა) ნატოს სამხედრო ძალებმა, ბ) სენტოს სამხედრო ძალებმა,
ბ) ვარშავის პაქტის სამხედრო ძალებმა დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

7. მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოთვლილთაგან რომელი სახელმწიფო არ წარმოადგენდა ფაშისტური გერმანიის მოკავშირეს?

- ა) რუმინეთი, გ) უნგრეთი,
ბ) იტალია, დ) ვატიკანი

8. მეორე მსოფლიო ომის დროს დასრულების ოფიციალური თარიღია:

- ა) 1945 წლის 8 მაისი, გ) 1945 წლის 9 მაისი
ბ) 1945 წლის 1 სექტემბერი დ) 1945 წლის 2 სექტემბერი

9. ჩამოთვლილ სახელმწიფოებიდან რომელი ქვეყანა არ იყო გაერთიანებული ვარშავის პაქტში?

- ა) ალბანეთი გ) საბერძნეთი,
ბ) ბულგარეთი, დ) რუმინეთი

10. ჩამოთვლილთაგან პირველ მსოფლიო ომში სამხედრო დანიშნულებით პირველად იქნა გამოყენებული:

- ა) ავიაცია, ბ) მომწამვლელი გაზები,
ბ) ტანკები, დ) მავთულხლართები

11. 1941 წლის აგვისტოში „ატლანტიკური ქარტიის“ დამფუძნებლები იყვნენ:

- ა) აშშ – სსრკ, გ) აშშ – დიდი ბრიტანეთი,
ბ) სსრკ – გერმანია, დ) აშშ – გერმანია

12. ჩამოთვლილთაგან რომელმა ევროპულმა სოციალისტურმა სახელმწიფომ არ განაცხადა უარი, მიეღო მონაწილეობა „მარშალის გეგმის“ ფარგლებში განხორციელებულ ეკონომიკურ დახმარებაზე?

- ა) გდრ, გ) ბულგარეთი,
ბ) პოლონეთი, დ) იუგოსლავია

13. 1975 წელს „ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის“ დასკვნითი მესამე ეტაპი ჩატარდა:

- ა) ათენში, გ) ვატიკანში,
ბ) მალტაზე, დ) ჰელსინკში

14. ევროპაში „ცივი ომის“ დასრულების თარიღად მიჩნეულია:

- ა) 1990 წ. გ) 1992 წ.
ბ) 1968 წ. დ) 1961 წ.

15. რომელი პოლიტიკოსის მიერ იქნა ორგზის ჩაშლილი დიდი ბრიტანეთის მცდელობა გამხდარიყო „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი“?

- ა) უ. ჩერჩილის, გ) ლ. ჯონსონის,
ბ) ნ. ხრუმჩოვის, დ) დე გოლის

16. ჩამოთვლილთგან რომელი მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა 1968 წელს?

- ა) „პრადის გაზაფხული“, გ) პარიზის ამბოხი,
- ბ) ვუდსტოკის ფესტივალი, დ) საბჭოთა ტანკების შეყვანა ჩეხოსლოვაკიაში

17. რომელი პიროვნების მიმართ გამოიყენეს ეპითეტი „საუკუნის დიდი პოლონელი“?

- ა) იოანე-პავლე II, გ) ლეხ ვალენსა,
- ბ) ედვარდ გერეკი, დ) ვლადისლავ გომულკა

18. ჩამოთვლილთგან რომელი სახელმწიფო არ არის ევრიკავშირის წევრი?

- ა) შვედეთი, გ) შვეიცარია
- ბ) ავსტრია, დ) დანია

19. ევროპარლამენტში ყველაზე მცირე რაოდენობის 5 წარმომადგენელი ჰყავს:

- ა) ლიტვას, გ) მალტას,
- ბ) ლატვიას, დ) ფინეთს

20. ევროპარლამენტის პოლიტიკურ ჯგუფებში ყველაზე მრავალრიცხოვან პარტიას წარმოადგენს:

- ა) მწვანეები, გ) სოციალისტური ჯგუფი,
- ბ) ევროპის სახალხო პარტია, დ) ლებერალთა და დემოკრატთა ალიანსი

21. ევროკავშირის დროშაზე ვარსკვლავების რაოდენობა იზრდება თუ:

- ა) იღებენ ახალ წევრ სახელმწიფოს,
- ბ) იღებენ ნატოს ალიანსის წევრ სახელმწიფოს,
- გ) ევროკავშირის დროშაზე ვარსკვლავების რაოდენობა მუდმივია,
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

22. ჩამოთვლილთაგან რომელ ევროპულ სახელმწიფოში Eარ შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას მუსლიმები?

- ა) ბოსნია და ჰერცეგოვინა, გ) ალბანეთი,
- ბ) ხორვატია, დ) კოსოვო

23. ჰენრი VIII-ს კათოლიკური ეკლესიასთან განხეთქილების საბაზიგაბდა:

- ა) პროტესტანტული იდეებისადმი სიმპათია, გ) ლათინურის არცოდნა
- ბ) დედოფალთან განქორწინების სურვილი, დ) მეფის ათეისტური განწყობა

24. დიდ ბრიტანეთში დომინანტ ეკლესიას წარმოადგენს:

- ა) კათოლიკური ეკლესია, გ) ანგლიკანური ეკლესია,
- ბ) ევანგელურ-ლუთერული ეკლესია, დ) მართლმადიდებელი ეკლესია

25. დღეისათვის ინგლისის ეკლესიის მეთაურს წარმოადგენს;

- ა) მსოფლიო პატრიარქი, გ) ინგლისის დედოფალი,
- ბ) რომის პაპი დ) ლონდონის მთავარეპისკოპოსი

26. ჩამოთვლილთაგან რომელ სახელმწიფოში წარმოადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას მართლმადიდებლები?

- ა) სლოვენია, გ) სლოვაკეთი
- ბ) სერბეთი დ) ხორვატია

27. ევროპის მფარველ წმინდანად ითვლება:

- ა) წმ. ბენედიქტე, გ) წმ. ფრანცისკე,
- ბ) წმ. კონსტანტინედიდი, გ) ნეტარი ავგუსტინე

28. ჩამოთვლილთაგან რომელი არ იყო ევროპაში ქრისტიანულ-პროტესტანტული მოძრაობის ფუძემდებელი:

- ა) ულრიჰ ცვინგლი, გ) ჟან კალვინი,
- ბ) იგნასიო ლოიოლა, დ) მარტინ ლუთერი

29. ჩამოთვლილ პიროვნებებს მიუწერეთ მათი მშობლიური ქვეყნის სახელი

(10 ქულა).

- 1) ნილ სბორი
- 2) შალვადორ დალი
- 3) ჩარლი ჩაპლინი
- 4) ალფრედ ნობელი
- 5) ფედერიკო ოფელინი
- 6) მილოშ ფორმანი
- 7) ფრედერიკ შოპენი
- 8) ალბერტ აინშტაინი
- 9) ზიგმუნდ ფროიდი
- 10) კლოდ მონე

[დანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, შვედეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, ავსტრიას, გერმანია,].

30. ევროპის პირველ უნივერსიტეტს წარმოადგენს:

- ა) სორბონის უნივერსიტეტი გ) ოქსფორდის უნივერსიტეტი
ბ) ბოლონიის უნივერსიტეტი დ) კემბრიჯის უნივერსიტეტი

31. ოლიმპიური თამაშების აღდგენის ინიციატორია:

- ა) ნიკო ნიკოლაძე გ) პიერ დე კუბერტენი
ბ) რობერ დე სორბონი დ) ვიქტორ ჰიუგო

32. XIX ს-ნის სახვით ხელოვნებაში მიმდინარეობა „იმპრესიონიზმის“ ფუძემდებლად ითვლება:

- ა) ვიქტორ ჰიუგო, გ) კლოდ მონე,
ბ) ვინსენტ ვან გოგი, დ) კლოდ შაბროლი

33. ჩამოთვლილთაგან ევროპელთაგან თავის ნაწერებში რომელმა ასახა მისი თანამედროვე საქართველოს ყოფა?

- ა) ჟან შარდენი, გ) ქრისტოფერო დე კასტელი,
ბ) არქანჯელო ლამბერტი დ) ალექსანდრ დიუმა

34. 1629 წელსპირველიქართულინაბეჭდიწიგნიგამოიცა:

- თბილისში, გ) მოსკოვში,
ბუქარესტში, დ) რომში.

35. ერთიანიევროპისშექმნის იდეა ეკუთვნის:

- ნაპოლეონს, გ) კარდინალ რიშელიეს,
ოტო ფონ ბისმარკს დ) იმპერატორ ფრიდრიხ ზარბაროსას

36. მეორე მსოფლიო ომის დაწყების თარიღია:

- 1941 წ. 22 ივნისი გ) 1940 წლის 22 ივნისი
1939 1 სექტემბერი დ) 1941 წლის 1 სექტემბერი

37. I მსოფლიო ომში, ანტანტის წევრ სახელმწიფოს წარმოადგენდა:

გერმანია, გ) რუსეთი,

ოსმალეთი, დ) იაპონია

38. XIX საუკუნეში „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნის იდეა ეკუთვნის;

ვიქტორ ჰიუგოს, გ) ონორე ბალზაკს

გუსტავ ფლობერს დ) კლოდ მონეს

39. XX საუკუნეში „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნის წინადადებით გამოვიდა:

უისტონ ჩერჩილი, გ) შარლ დეგოლი,

ჟორჯ მარშალი დ) ჰარი ტრუმენი

40. ჩამოთვლილთაგან რომელ სახელმწიფოს აქვს ევროპარლამენტში ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა?

ა) საფრანგეთი, გ) დიდი ბრიტანეთი,

ბ) იტალია, დ) გერმანია

41. ევროპის უძველესი მოსახლეობის - კელტების შთამომავლებს წარმოადგენენ:

ა) ბრეტანელები, გ) მაგიარები

ბ) ბულგარელები, დ) სლოვაკები

42. ჩამოთვლილთაგან რომელი ენები არ მიეკუთვნება რომანულ ენათა ჯგუფს?

რუმინული, გ) პორტუგალური,
შვედური, დ) იტალიური

43. ჩამოთვლილთაგან კელტურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება:

შოტლანდიური, გ) შვედური,
Dდანიური, დ) ნორვეგიული

44. ჩამოთვლილთაგან სლავურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება:

ა) ბერძნული, გ) ქართული,
ბ) ბოშური, დ) სერბო-ხორვატული

45. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება გერმანიკულ ენათა ჯგუფს?

ა) ჰოლანდიური, გ) დანიური,
ბ) ინგლისური, დ) ფინური.

46. II მსოფლიო ომის შემდგომ ევროპის გაერთიანების იდეის ავტორია:

ა) ჟან მონე, გ) ჟან მარე,
ბ) ჟან-ჟაკრუსო, დ) ჟან ვალჟანი

47. ევროკავშირში გაერთიანებული სახელმწიფოებიდან რომელში არის დარჩენილი ევროს ნაცვლად ძველი ფულადი ერთეული?

ა) საბერძნეთი, გ) ლუქსემბურგი,
ბ) ფინეთი, დ) დიდი ბრიტანეთი.

48. ევროკავშირის ქვეყნებში რომელი წლიდან შემოვიდა ბრუნვაში ევროს მონეტები და ბანკნოტები?

ა) 2000 წ. 25 დეკემბერი, გ) 2002 წლის 01 იანვარი,

ბ) 2001 წლის 01 იანვარი დ) 1999 წლის 31 დეკემბერი.

49. რომელ ქვეყნებს შორის მიმდინარეობდა ასწლიანი ომი?

- ა) საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის;
- ბ) საფრანგეთსა და შოტლანდიას შორის;
- გ) საფრანგეთსა და რომის საღვთო იმპერიას შორის
- დ) საფრანგეთსა და ინგლისს შორის.

50. ვინ გახდა ინგლისის ეკლესიის მეთაური მას შემდეგ, რაც ის რომის პაპის დაქვემდებარებიდან გამოვიდა?

- ა) ინგლისის მეფე, გ) კენტებერიის არქიეპისკოპოსი
- ბ) ლონდონის კარდინალი, დ) ლორდ-კანცლერი.

51. დასავლეთ ევროპელთაგან ინდოეთამდე მიმავალი საზღვაო გზა პირველმა ადმოაჩინეს:

- ა) ინგლისელებმა, გ) ვენეციელებმა,
- ბ) ესპანელებმა, დ) პორტუგალებმა.

52. 1606 წელს ავსტრალია აღმოაჩინეს:

- ა) ესპანელებმა, გ) ინგლისელებმა,
- ბ) ჰოლანდიელებმა, დ) პორტუგალებმა.

53. ევროპის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს:

- ა) იალბუზი, გ) მონბლანი,

ბ) ყაზბეგი, დ) არარატი.

54. ჩამოთვლითგან რომელია ევროპის ყველაზე დიდი მდინარე?

ა) რაინი, გ) ელბა,

ბ) ლუარა, დ) დუნაი

55. დასავლეთ ბერლინელებთან სოლიდარობის მიზნით ნათქვამი ფრაზა „მე ბერლინელი ვარ“ ეკუთვნის:

ა) ვაცლავ ჰაველს, გ) ჯონ კენედის,

ბ) ჰარი ტრუმენს, დ) რობერტ კენედის

56. რომელ ისტორიულ თარიღს უკავშირდება საფრანგეთის დამოკიდებლობის დღედ 14 ივლისის დაწესება?

ა) ვერსალის აგებას, გ) ბასტილიის აღებას,

ბ) საფრანგეთის გაქრისტიანებას, დ) II მსოფლიო ომში გამარჯვებას

57. თანამშრომლობის რა ფორმა დამკვიდრდა შუმანის გეგმიდან?

ა) საერთო საბაჟო კავშირი

ბ) საერთო ევროპული თავდაცვის სტრატეგია

გ) ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობა

დ) ევროპის საბჭო

58. რა არის ახალი ახალ ინსტიტუციონალიზმში?

ა) გარდა ოფიციალური ინსტიტუტებისა, ის მოიცავს არაფორმალურ ნორმებს ან წესებს

ბ) ის ინსტიტუტებს ავტონომიურ აქტორებად განიხილავს

გ) ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინსტიტუტები არ არიან ღირებულებით ნეიტრალური

დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

59. რა თვალსაზრისითაა “გლობალიზაცია” სადავო კონცეფცია?

ა) იმ აზრით, რომ გლობალიზაცია სოციალური, კულტურული ან ეკონომიკური ფენომენია

ბ) იმ აზრით, რომ გლობალიზაცია ახალი მოვლენაა

გ) იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოები ინარჩუნებენ გლობალიზაციაზე გარკვეულ კონტროლს

დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

60. ევროინტეგრაცია არ განსხვავდება რეგიონალიზმის სხვა ფორმებისაგან.

ა) სწორია

ბ) არასწორია

61. რა არის “ევროპეიზაცია”?

ა) ინსტიტუტების განვითარება ევროპულ დონეზე

ბ) ევროპის პოლიტიკური ორგანიზაციისა და ინსტიტუტების ფორმათა იმიტაცია დანარჩენ მსოფლიოში

გ) წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებში ცვლილებები

დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

62. დემოკრატია ევროკავშირის ლეგიტიმაციის ერთადერთი წყაროა

ა) სწორია

ბ) არასწორია

63. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გახლდათ 2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულების აშკარა განზრახვა?

ა) ეკონომიკური კავშირის ხელშეწყობა

ბ) დემოკრატიის განმტკიცება ევროკავშირში

გ) თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებისთვის ხელშეწყობა

დ) ევროკავშირის ზენაციონალური სტრუქტურებისათვის ძირის გამოთხრა

64. რა არის ევროკავშირის ლეგიტიმურობის ირიბი წყარო?

ა) ეფექტური პოლიტიკის განხორციელება

ბ) ევროპული საპარლამენტო არჩევნები

გ) ნაციონალური მთავრობები

დ) გამჭვირვალობა და ღიაობა

65. ევროპის ერთიანობის ძიება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი.

ა) სწორია

ბ) არასწორია

66. რომელი მოძრაობა შექმნა საომარი წინააღმდეგობის მოძრაობებმა?

ა) “ფედერალისტების ევროპული კავშირი”

ბ) ევროპაში პოლიტიკური თანამშრომლობის ოპოზიცია

გ) “ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია”

დ) ერთა ლიგა

67. 1946 წელს ვინ მოუწოდა “ევროპის შეერთებული შტატებისაკენ”?

ა) შარლ დე გოლი

ბ) ჰარი ტრუმენი

გ) ვინსტონ ჩერჩილი

დ) ჟან მონე

68. რა იყო 1948 წლის ევროპის კონგრესის შედეგი?

ა) ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობა

ბ) არავითარი შეთანხმება არ იქნა მიღწეული

გ) ევროპის საბჭო

დ) პარიზის ხელშეკრულება

69. რა არის ევროპის საბჭო?

ა) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შემქმნელი

ბ) ევროპული თანამეგობრობის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო

გ) “ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის” მიერ შექმნილი ორგანო

დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

70. ამერიკელებმა კომუნისტურ საფრთხეს მარშალის გეგმით უპასუხეს; ხოლო ევროპულმა სახელმწიფოებმა კი - დიუნკერკისა და ბრიუსელის ხელშეკრულებებით.

ა) სწორია

ბ) არასწორია

71. რა ეწოდება იმ ხელშეკრულებას, რომელიც საფუძვლად დაედო ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობის შექმნას?

ა) რომის ხელშეკრულება

ბ) პარიზის ხელშეკრულება

გ) ბრიუსელის ხელშეკრულება

დ) დიუნკერკის ხელშეკრულება

72. რას წარმოადგენდა შუმანის გეგმა?

ა) ევროპულ სახელმწიფოებს შორის ფართო პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გეგმა

ბ) გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და ბენელუქსის ქვეყნებში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის გეგმა

გ) სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია გერმანიას, საფრანგეთს, იტალიასა და ბენელუქსის ქვეყნებს შორის

დ) გერმანიის, საფრანგეთის, იტალიისა და ბენელუქსის ქვეყნების ქვანახშირისა და ფოლადის რესურსების გაერთიანების გეგმა ზენაციონალური ორგანოს მიერ

73. ამერიკელებს მცირე ან არავითარი გავლენა არ ჰქონიათ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობის განვითარებაზე.

ა) სწორია

ბ) არასწორია

74. რა იგულისხმა რობერტ შუმანმა, როდესაც განაცხადა: “საწარმოო სოლიდარობა ნათელს გახდის, რომ ნებისმიერი ომი საფრანგეთსა და გერმანიას შორის არა მხოლოდ წარმოუდგენელი, არამედ მატერიალურად შეუძლებელი იქნება?”

ა) ინტეგრირებული საბრძოლო მასალის ინდუსტრია

ბ) ქვანახშირისა და ფოლადის მარაგთა გაერთიანება

გ) თანამშრომლობა სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში

დ) ინდუსტრიული განვითარების ერთობლივი მონიტორინგი

75. რატომ მიიღო გერმანიამ შუმანის გეგმა?

ა) კონრად ადენაუერის პირადი ღირებულებები და იდეოლოგია

ბ) მან მოახდინა გერმანიის ეკონომიკური რეაბილიტაცია, მსოფლიოს თვალში აღადგინა მისი ლეგიტიმურობა და გააძლიერა მისი ალიანსები

გ) გერმანია აშშ-ს ზეწოლის წინაშე დადგა მის მიღებასთან დაკავშირებით

დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

76. რას წარმოადგენდა პლევენის გეგმა?

ა) ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობის შექმნის გეგმა

ბ) ევროპის პოლიტიკური თანამეგობრობის შექმნის გეგმა

გ) ევროპის თავდაცვის თანამეგობრობის შექმნის გეგმა

დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

77. ევროპის პოლიტიკური თანამეგობრობის გეგმები დაკავშირებული იყო ევროპის თავდაცვის თანამეგობრობასთან.

ა) სწორია

ბ) არასწორია

78. ევროპის თავდაცვის თანამეგობრობის (EDC) მარცხის შემდეგ, ევროპის უსაფრთხოების დილემა დასავლეთ ევროპის კავშირის დღის წესრიგში მოექცა.

ა) სწორია

ბ) არასწორია

79. რა გახლდათ 1955 წლის იენისის მესინას კონფერენციის მიზანი?

ა) ევროპის პოლიტიკური თანამეგობრობის მხარდაჭერა

ბ) საერთო ბაზრის განვითარება

გ) ევროპის თავდაცვის თანამეგობრობის აღდგენა

დ) ევრატიმის დაწყება

80. რატომ მოიცავდა რომის ხელშეკრულება სოფლის მეურნეობას?

ა) ამას გერმანია ითხოვდა, რადგანაც მათ სჭირდებოდათ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების აღდგენა

ბ) ის საერთო ბაზრის სასიცოცხლო განზომილებად განიხილებოდა

გ) ის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი გახლდათ საფრანგეთის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად

დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

81. რატომ შემუშავდა სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკა (CAP) 1960 წელს?

ა) ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდა

ბ) თანამშრომლობის წარსულმა მაგალითებმა წახალისა სოფლის მეურნეობის ინტეგრაცია

გ) წევრმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს შიდა ტარიფების გაუქმებაზე იმ შემთხვევაში, თუკი სოფლის მეურნეობაში არავითარი პროგრესი არ შეინიშნებოდა

დ) ძლიერი ხელმძღვანელობის პირობებში - კომისიამ ოსტატურად შეათანხმა გარიგების პაკეტი

82. რომელ პერიოდს უწოდებენ ხშირად ევროინტეგრაციის “ზნელ პერიოდს”?

ა) ადრეული 1950-იანებიდან ადრეულ 1960-იან წლებამდე

ბ) ადრეული 1960-იანებიდან ადრეულ 1970-იან წლებამდე

გ) ადრეული 1970-იანებიდან ადრეულ 1980-იან წლებამდე

დ) ადრეული 1980-იანებიდან ადრეულ 1990-იან წლებამდე

83. რას გულისხმობს ევროპული საბჭოს “გაფართოება”?

ა) წევრი სახელმწიფოების რიცხვის გაზრდას

ბ) პოლიტიკის იმ სფეროთა სპექტრის გაფართოებას, რომლებშიც ევროპული საბჭო აქტიურად მოღვაწეობს

გ) ევროპული საბჭოს ბიუჯეტის გაზრდას

დ) ევროპული საბჭოს დღის წესრიგის მოუგვარებელ საკითხთა გადაწყვეტას

84. რატომ გამართა დიდმა ბრიტანეთმა რეფერენდუმი ევროპულ საბჭოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით 1975 წელს?

ა) ეს იყო საკონსტიტუციო მოთხოვნა

ბ) საპარლამენტო რატიფიკაციამ მარცხი განიცადა

გ) პოპულარული მანდატის უზრუნველსაყოფად და ლეიბორისტული პარტიის ოპოზიციის დასაძლევად

დ) ლეიბორისტული პარტია აკონტროლებდა კონსერვატიული პარტიის მიერ დაპირების შესრულებას რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით

85. რას მიაღწია ევროპის პოლიტიკურმა თანამშრომლობამ?

- ა) მან შექმნა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე კოორდინაციის სამთავრობათაშორისო ჩარჩო
- ბ) მან შექმნა ევროპის თანამეგობრობის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა
- გ) მან დაამკვიდრა ევროპის თანამეგობრობის საგარეო პოლიტიკის მიმართულება
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

86. რა ინსტიტუციონალური განვითარება იქნა შეთანხმებული 1974 წელს?

- ა) მთავრობის მეთაურთა რეგულარული სამიტის შეხვედრების გამართვა
- ბ) ევროპის პარლამენტის პირდაპირი არჩევნების ჩატარება
- გ) ევროპული სასამართლოს შექმნა
- დ) არცერთი ზემოთ ჩამოთვლილთაგან

87. რა მიზანს ისახავდა “1992 წლის პროგრამა”?

- ა) სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის (CAP) რეფორმირება
- ბ) საერთო ბაზრის დასრულება
- გ) ევროპის დაახლოება მის მოქალაქეებთან
- დ) დემოკრატიზაციის პროგრამა

88. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გახლდათ საერთო ევროპული აქტის (SEA) მიზანი?

- ა) “დემოკრატიული დეფიციტი” შემცირება
- ბ) ევრატომისა და “ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის” (EEC) შერწყმა
- გ) სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის (CAP) რეფორმირება
- დ) ინსტიტუციონალური რეფორმების ინიცირება საერთო ბაზრის დასრულების ხელშეწყობის მიზნით

89. რა გახლდათ საერთო ევროპული აქტის (SEA) ძირითადი ინსტიტუციონალური დებულებები?

ა) კვალიფიციური უმრავლესობის კენჭისყრა საბჭოში და ევროპის პარლამენტის ძალაუფლების გაზრდა

ბ) კვალიფიციური უმრავლესობის კენჭისყრა საბჭოში და ევროპული სასამართლოს ძალაუფლების გაზრდა

გ) ნაციონალური ვეტოს შემოღება სხვადასხვა პოლიტიკაზე

დ) არცერთი ზემოთ ჩამოთვლილთაგან

90. ვინ უწოდა ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებას (TEU) “ძალიან შორს მიმავალი ხელშეკრულება”?

ა) ჟაკ დელორი

ბ) ჰელმუტ კოლი

გ) ფრანსუა მიტერანი

დ) მარგარეტ ტეტჩერი

91. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი პოლიტიკური და ინსტიტუციონალური რეფორმა არ იქნა შეტანილი მაასტრიხტის ხელშეკრულებაში?

ა) საფინანსო კავშირი

ბ) ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცედურის გაფართოება ევროპის პარლამენტში

გ) სუბსიდიარულობის პრინციპი

დ) მოსამართლეთა ევროპული სასამართლოს მოსამართლეების არჩევა

92. ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების (TEU) რატიფიკაციას მრავალ წევრ სახელმწიფოში შეხვდა საჯარო წინააღმდეგობა.

ა) სწორია

ბ) არასწორია

93. როგორ ხასიათდება ამსტერდამის ხელშეკრულება?

- ა) როგორც რადიკალური ხასიათის ხელშეკრულება
- ბ) როგორც მოკრძალებული ხასიათის ხელშეკრულება
- გ) როგორც სოციალისტური შინაარსის ხელშეკრულება
- დ) როგორც ეკონომიკური შინაარსის ხელშეკრულება

94. რომელი ქვეყანა იყო აშშ-ს ერაყული ოპერაციების ყველაზე დიდი კრიტიკოსი?

- ა) საფრანგეთი
- ბ) დიდი ბრიტანეთი
- გ) ესპანეთი
- დ) პოლონეთი

95. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ინსტიტუციონალურ ცვლილებებს შეიცავს ლისაბონის ხელშეკრულება?

- ა) ევროპის პარლამენტის ძალაუფლების გაფართოება ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების მხრივ
- ბ) ნაციონალური პარლამენტებისათვის უპირატესი როლის მინიჭება
- გ) კვალიფიციური უმრავლესობის კენჭისყრის სისტემის გამოყენების განვრცობა ახალ პოლიტიკურ სფეროებში
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

96. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ევროკავშირის საკონსულტაციო დაწესებულება?

- ა) მინისტრთა საბჭო
- ბ) რეგიონთა და ადგილობრივ ხელისუფალთა კომიტეტი
- გ) ევროპის პარლამენტი
- დ) კომისია

97. ევროკომისიის დიდი ძალაუფლების ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მას შეუძლია პოლიტიკის დღის წესრიგის კონტროლი.

ა) სწორია

ბ) არასწორია

98. ვისი ინტერესებია წარმოდგენილი ევროკავშირის მინისტრთა საბჭოში?

ა) წევრ სახელმწიფოთა მთავრობის მეთაურების

ბ) წევრ სახელმწიფოთა მთავრობების

გ) წევრ სახელმწიფოთა პარლამენტების

დ) ევროპის პარლამენტის წევრების

99. რატომ შეიქმნა ევროპული საბჭო?

ა) სამთავრობათაშორისო ხელმძღვანელობისა და თანამიმდევრული პოლიტიკის წარმოების უზრუნველსაყოფად

ბ) წევრ სახელმწიფოთა მთავრობების წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად პოლიტიკის წარმოების პროცესში

გ) იმისათვის, რათა წევრ სახელმწიფოებს უფრო ახლოს შესძლებოდათ ევროკომისიასთან კოორდინაცია

დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

100. ევროპის პარლამენტს აქვს კანონმდებლობის ინიცირების უფლება.

ა) სწორია

ბ) არასწორია

101. რა არის “ბოლონიის პროცესი”?

ა) სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა შორეულ სოფლის რაიონებში ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

ბ) ევროკავშირის საწინააღმდეგო თაღლითობის გამომძიების პროცესი

გ) მწვავე დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების კოორდინაცია

დ) ევროპის უმაღლესი განათლების ზონის შექმნის მცდელობა

102. ვისთვისაა ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკა (CAP) მომგებიანი?

ა) მომხმარებლები

ბ) დიდი ფერმები

გ) მცირე ფერმები

დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

103. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უკავშირდება “წარმომავლობის ქვეყნის პრინციპს”?

ა) ადამიანთა თავისუფალი გადაადგილება

ბ) საქონლის თავისუფალი გადაადგილება

გ) კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება

დ) მომსახურების თავისუფალი გადაადგილება

104. მრავალსაფეხურიანი მმართველობა ვერ ჰფენს ნათელს ერთობის პოლიტიკის შიდა ეფექტებს.

ა) არასწორია

ბ) სწორია

105. მმართველობის შესახებ არსებულ თეორიებს უჭირთ ევროკავშირის ყოველდღიური გარემოს დაცვითი პოლიტიკის განმარტება.

ა) სწორია

ბ) არასწორია

106. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის “ლაბორატორიად” შეიქმნა შენგენის ჯგუფი?

ა) უვიზო ზონა

ბ) უპასპორტო ზონა

გ) უთავშესაფრო ზონა

დ) უიმიგრაციო ზონა

107. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სახელმწიფო არაა შენგენის ზონის სრული წევრი?

ა) საბერძნეთი

ბ) გერმანია

გ) ირლანდია

დ) მალტა

108. ევროკავშირის დამფუძნებელმა ხელშეკრულებამ (TEU) (მაასტრიხტის ხელშეკრულება) განაპირობა ერთიანი საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება გერმანელთა მიერ გათვალისწინებულ ტერიტორიებთან მიმართებაში.

ა) სწორია

ბ) არასწორია

109. რამდენჯერ მოხდა ევროკავშირის გაფართოება?

ა) ოთხჯერ

ბ) ხუთჯერ

გ) ექვსჯერ

დ) შვიდჯერ

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პასკალ ფონტენი, ევროპა 12 გაკვეთილი.
2. მოდი, გავიცნოთ ევროპა! ინტერნეტ გვერდი: delgeo.ec.europa.eu
3. WWW. ec.europa. eu/publications/
4. დიკ ლეონარდი, ევროკავშირის სახელმძღვანელო, გამომც. ჯისიაი, 2002 წ.
5. Ian Bache, Stephen George, Simon Bulmer, Politics in the European Union, Oxford University Press, 2006.
(http://fds.oup.com/www.oup.com/pdf/13/9780199544813_chapter1.pdf)
6. <http://global.oup.com/uk/orc/politics/eu/bache3e/01student/mcqs/>